

თანხის ანაზღაურება; ფულადი ვალდებულების შესრულება; ყადაღა



საქართველოს უზენაესი სასამართლო

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა
საქართველოს სახელით

№ ას-81-779-03

21 ივლისი, 2003 წ., ქ.თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა

შემადგენლობა: ვალერი ხრუსტალი (თავმჯდომარე),
ბადრი მეტრეველი,
როზა ნადირიანი (მომხსენებელი),
ლალი გორელაშვილი,
მიხეილ გოგიშვილი,
ირაკლი ბიბილაშვილი,
ნინო გვენეტაძე,
ნუგზარ სხირტლაძე,
ნანა კლარჯეიშვილი

სხდომის მდივანი – გურამ სუპატაშვილი

კასატორი – შპს „ლ. ... ა.“ (მოპასუხე)

წარმომადგენლები – გ. თ.-ძე, გ. კ.-ძე

მოწინააღმდეგე მხარე – შპს „ს.-ლ. ს.-ი“ (მოსარჩელე)

წარმომადგენლები – ზ. კ.-ე, გ. ზ.-ი, ნ. გ.-ე

გასაჩივრებული გადაწყვეტილება (განჩინება) – თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის 2003 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილება, ამავე კოლეგიის 2002 წლის 1 ოქტომბრის, 22 ნოემბრის, 2003 წლის 23 იანვრის, 7 და 14 აპრილის განჩინებები

სარჩელის საგანი – ფულადი ვალდებულების შესრულება.

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი :

„ს.-ლ. ს.-მა“ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხე შპს „ლ. ... ა.“-ის წინააღმდეგ და მოითხოვა ძირითადი დავალიანების 3 923 791 აშშ დოლარის და

მიუღებელი შემოსავლის 608 187 აშშ დოლარის, სულ 4 531 978 აშშ დოლარის მოპასუხისათვის გადასახდელად დაკისრება.

სარჩელის საფუძველად მოსარჩელე მიუთითებდა შპს „ს.-ლ. ს.-სა“ და მოპასუხე შპს „დ. ... ა.“-ს შორის 2001 წლის 26 იანვარს გაფორმებულ №...-01 ხელშეკრულებაზე. აღნიშნული ხელშეკრულების 1.1 და 3.2 პუნქტების თანახმად, მოპასუხემ იკისრა ვალდებულება მოსარჩელისათვის 3 923 791 აშშ დოლარის გადახდის თაობაზე, რაც მოსარჩელის განმარტებით წარმოადგენს ერთობლივი საქმიანობის შედეგად მისაღებ დივიდენდს. კონტრაქტის 2.1.1. პუნქტის შეუსრულებლობის გამო მოსარჩელემ 2003 წლის 29 ოქტომბერს გაზარდა სასარჩელო მოთხოვნა და დამატებით მოითხოვა 608 187 აშშ დოლარის გადახდა. გაზრდილი სასარჩელო მოთხოვნის საფუძველად მოსარჩელემ მიუთითა, რომ ვინაიდან მოპასუხემ ნაკისრი ვალდებულება არ შეასრულა, ამით მას მიაღება მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი, კერძოდ, მოწინააღმდეგე მხარის მიერ ვალდებულების დროულად შესრულების შემთხვევაში 2001 წლის სექტემბრიდან დღემდე აღნიშნული თანხის ანაბრის სახით ბანკში შეტანის შედეგად მას შეეძლო მიეღო მოგება წლიური 13,3%-ის ოდენობით, რაც 2003 წლის 29 ოქტომბრამდე შეადგენს ძირითადი თანხის 15,5%-ს ანუ 608 187 აშშ დოლარის ეკვივალენტს.

მოსარჩელემ განაცხადა, რომ მას ხელშეკრულების დედანი დაკარგული აქვს და მისი არსებობის დასადასტურებლად წარმოადგინა ბრატისლავის ნოტარიუსის მიერ დამოწმებული, ლეგალიზებული ხელშეკრულება, კონტრაქტზე ჩატარებული ლეგალიზებული ექსპერტიზის დასკვნები (ჩატარებული ბრატისლავასა და ბერლინში).

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განაცხადა, რომ სადავო კონტრაქტი მხარეთა შორის არ დადებულა. „ს.-ლ. ს.-თან“ ერთობლივი საქმიანობის განხორციელების შესახებ ინფორმაცია მოპასუხის საბუღალტრო საქმეებში, მის მომსახურე ბანკში, საბაჟო და საგადასახადო ორგანოებში არ არსებობს, მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი 2001 წლის 26 იანვრის ხელშეკრულებაში მითითებულ ხელშეკრულებებს (№12/20, 12.09-1996 წ. და 1998 წ. 1 აპრილის) შპს „ა.-თან“ საერთო არა აქვთ, ვინაიდან ის არ არის მანამდე არსებული არცერთი საწარმოს სამართალმემკვიდრე, იგი შექმნილია 1999 წლის ივნისში და მუშაობს 2000 წლიდან. ასევე, არ არსებობს არავითარი წერილობითი და ზეპირი შეთანხმება მხარეთა შორის.

მოპასუხემ განცხადებით მიმართა სასამართლოს საბუთის სიყალბის შესახებ, რომელშიც აღნიშნა, რომ 2001 წლის 26 იანვრის კონტრაქტი ყალბია, რადგან მასზე ხელისმომწერი პირები ი. ს.-ი, ს. კ.-ი და ვ. პ.-ი იმ დროს თბილისში არ იმყოფებოდნენ, რაც დასტურდება მათი განცხადებით, ასევე ხელი არ მოუწერია კონტრაქტზე შპს „ა.-ის“ იმჟამინდელ დირექტორს ვ. ა.-ს.

მოპასუხის განმარტებით, 2001 წლის 26 იანვრის კონტრაქტის სიყალბე დადასტურებულია, როგორც სამოქალაქო საქმის მასალებით, აგრეთვე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის დადგენილებითაც.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოპასუხემ მოითხოვა სასამართლოში კონტრაქტის დენის წარმოდგენა, წინააღმდეგ შემთხვევაში კი 2001 წლის 26 იანვრის კონტრაქტის ასლის ამორიცხვა მტკიცებულებებიდან.

მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი კონტრაქტის ქსეროასლზე შპს „ა.-ის“ დირექტორის ვ. ა.-ის ხელმოწერის ნამდვილობის შემოწმების მიზნით, სასამართლო კოლეგიამ დანიშნა ტექნიკურ-კრიმინალისტიკური ექსპერტიზა საქართველოს იუსტიციის

სამინისტროს ექსპერტიზისა და სპეციალურ გამოკვლევათა ცენტრში, საიდანაც მიიღეს შესაბამისი დასკვნა.

სასამართლო კოლეგიამ დადგინდა, რომ შპს „დ. ... ა.“ წარმოადგენს შპს „ა.-ის“ სამართალმემკვიდრეს. შპს „ა.-სა“ და მოსარჩელეს შორის სამართლებრივი ურთიერთობა წარმოიშვა 2001 წლის 26 იანვარის კონტრაქტის საფუძველზე. კონტრაქტი არ არის ყალბი, მასზე არსებული ხელმოწერა შპს „ა.-ის“ მხრიდან ეკუთვნის საწარმოს დირექტორს ვ. ა.-ს და აღნიშნულის გამო კოლეგიამ ჩათვალა, რომ კონტრაქტის ასლს უნდა მიენიჭოს დედნის ძალა.

აღნიშნული დასკვნის საფუძველად სასამართლომ მიუთითა, რომ დოკუმენტის დედნის ასლის დამოწმება სათანადო უფლებამოსილების მქონე ოფიციალური პირის მიერ ასლს ანიჭებს ოფიციალურ ძალმოსილებას – დოკუმენტის დედნის ძალას ანუ საჯარო ძალას, ხოლო საჯარო აქტს აქვს კანონიერებისა და უტყუარობის პრეზუმფცია მანამ, სანამ დადგენილი წესით არ დამტკიცდება საწინააღმდეგო. მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი სადავო კონტრაქტის ასლი დამოწმებულია ბრატისლავაში, 2001 წლის 7 თებერვალს უფლებამოსილი პირის მ. ვ.-ს მიერ, რაც შესაბამისად ლეგალიზებულ იქნა ქ. ვენაში საქართველოს საელჩოს საკონსულო სამსახურში. სანოტარო დადასტურების დოკუმენტში უფლებამოსილი პირი ადასტურებს, რომ ეს დოკუმენტი სრულად შეესაბამება წარმოდგენილ დედანს, რომელიც შედგება 4 ფურცლისაგან. სასამართლო კოლეგიამ მიიჩნია, რომ აღნიშნული ჩანაწერი ადასტურებს სლოვაკეთში განხორციელებული ნოტარიული დამოწმების ფორმულარში მითითებული გარემოებების სინამდვილეს. აღნიშნულის საწინააღმდეგო ფაქტის დადგენა უნდა მოხდეს სლოვაკეთის რესპუბლიკის სასამართლოს მიერ, საქართველოს სასამართლოს და სამართალდამცავ ორგანოებს სლოვაკეთის რესპუბლიკაში განხორციელებული სანოტარო მოქმედების კანონიერების შემოწმების კომპეტენცია არ გააჩნიათ.

გარდა აღნიშნულისა, საბუთის ნამდვილობის დასადასტურებლად სასამართლომ მიუთითა შემდეგ მტკიცებულებებზე, კერძოდ:

სლოვაკეთის რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრის 2002 წლის 6 ივნისის წერილის თანახმად, სლოვაკეთის სანოტარო ორგანოების მოქმედებათა წესი შეესაბამებოდა სლოვაკეთის რესპუბლიკის მოქმედ კანონმდებლობას, აგრეთვე, საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებს. ამგვარი წესით დამოწმებულ დოკუმენტის ასლს აქვს ისეთივე იურიდიული ძალა, როგორც მის დედანს. ის აკმაყოფილებს ოფიციალური დოკუმენტის მოთხოვნებს საზღვარგარეთ მისი გამოყენების მიზნით. დოკუმენტის დამოწმებული ასლიდან დამოწმებულ ასლს ისეთი თანაბარი იურიდიული ძალა აქვს, როგორც მის დედანს, თუკი დამტკიცებული არ იქნება ამის საპირისპირო.

სლოვაკეთის რესპუბლიკის სანოტარო პალატის წერილი, სლოვაკეთის „ნოტარიუსებისა და სანოტარო საქმიანობის შესახებ“, კანონთა კრებულის 57-ე მუხლზე დაყრდნობით ადასტურებს ზემოთ აღნიშნულს.

მოსარჩელე მხარის მიერ წარმოდგენილია ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც ადასტურებს, რომ სანოტარო დამოწმების შემდეგ დოკუმენტებზე არ განხორციელებულა რაიმე მანიპულაცია (აკინძული დოკუმენტების დაშლა ან მათში ცვლილებების შეტანა).

საქართველოს ნოტარიუსთა პალატის 2002 წლის 28 ოქტომბრის წერილის თანახმად, დოკუმენტის დამოწმების ფუნქციაა დოკუმენტის დამოწმებული ასლის

შესატყვისობის დადასტურება დოკუმენტის დედანთან და დამოწმებული ასლისათვის დედნის ძალის მინიჭება, სხვა ფუნქცია დამოწმებას არა აქვს.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტის დირექტორის ზ. გ.-ს 2002 წლის 11 ივნისის №.../11 წერილი მტკიცებულებაა იმის შესახებ, რომ სანოტარო მოქმედება ვენის კონვენციის მოთხოვნათა დაცვით ლეგალიზებულ იქნა ქ. ვენაში საქართველოს საელჩოს საკონსულო სამსახურის მიერ.

აღნიშნული მტკიცებულებების გათვალისწინებით სასამართლო კოლეგიამ უტყუარ მტკიცებულებად მიიჩნია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზისა და სპეციალურ გამოკვლევათა ცენტრში ჩატარებული ხელმოწერისა და საბუთების ტექნიკურ – კრიმინალისტიკური ექსპერტიზის დასკვნა, რომლის მიხედვით: 1. ხელმოწერები ვ. ა.-ს გვართ 2001 წლის 26 იანვრის კონტრაქტზე და მის დანართზე შესრულებულია ვ. ა.-ს მიერ; 2) ექსპერტიზაზე გამოსაკვლევად წარმოდგენილ №...-01 კონტრაქტის სანოტარო დამოწმების შემდეგ, მასზე რაიმე მანიპულაცია არ განხორციელებულა; 3) წარმოდგენილი კონტრაქტი წარმოადგენს ქსეროასლს. იმ კატეგორიულ დასკვნამდე ექსპერტიზა მივიდა იმის გათვალისწინებით, რომ კონტრაქტზე ყველა ხელმოწერა ვ. ა.-ის გვართ შესრულებულია ვ. ა.-ის მიერ და გამოსაკვლევი კონტრაქტის ასლი გადაღებულია კონტრაქტის ორიგინალიდან.

კოლეგიამ აღნიშნა, რომ ანალოგიური დასკვნებია გაკეთებული მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ წერილობით მტკიცებულებაში, კერძოდ, ბრატისლავის პოლიციის კრიმინალისტიკისა და ექსპერტიზის ინსტიტუტში ჩატარებულ ექსპერტიზის დასკვნაში, სადაც წარდგენილი ვ. ა.-ის თავისუფალი ხელწერის ნიმუშების ნამდვილობა მოპასუხე მხარეს სადავოდ არ გაუხდია. გამოსაკვლევად წარმოდგენილი იყო 2001 წლის 26 იანვრის კონტრაქტის ასლის იგივე ეგზემპლარი.

სასამართლო კოლეგიამ უსაფუძვლოდ მიიჩნია მოპასუხე მხარის განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ 2001 წლის 26 იანვრის კონტრაქტი შეიძლება დამზადებულია ასლის გადამღები აპარატით (მონტაჟის წესით) ვ. ა.-ის საცხოვრებელი ბინიდან გატაცებული დოკუმენტების გამოყენებით. კოლეგიამ დადგინებულად მიიჩნია, რომ სადავო კონტრაქტის ასლი ნოტარიული წესით ჯერ კიდევ 7 თებერვალს დამოწმებულ იქნა სლოვაკეთის რესპუბლიკაში ქ. ბრატისლავაში, დოკუმენტებით სავსე ყუთი კი ... გამზირზე №...-ში მდებარე №...-ე ბინიდან გამოითანეს 2001 წლის 4 აპრილს, ანუ კონტრაქტი გაცილებით ადრე იქნა დამოწმებული ვიდრე აღნიშნულ ქმედებას ჰქონდა ადგილი. გარდა აღნიშნულისა, კოლეგიამ მიუთითა, რომ თუ ვინმემ მონტაჟი მოახდინა, მაშინ ნოტარიუსი დედანს ვერ ნახავდა და შესაბამისად არც დამოწმებდა.

სასამართლო კოლეგიამ არ გაიზიარა მოპასუხის პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ კონტრაქტის სიყალბის დამადასტურებელია მასზე „მ. ი. კ.-ის“ „ს.-ის“, „ვ. ვ. კ.-ისა“ და „ს. ს.-ის“ სახელით ვ. პ.-ის, ი. ს.-ისა და ს. კ.-ის მიერ გაკეთებული ხელმოწერების გაყალბება. აგრეთვე, აღნიშნული გარემოების დადგენის მოთხოვნა სასამართლომ არ გაიზიარა.

კონტრაქტის შინაარსიდან ირკვევა, რომ დასახელებული პირები თავდებად უდგებიან შპს „ა.-ს“ შპს „ს.-ლ. ს.-ის“ წინაშე, ამ უკანასკნელის მიერ ხელშეკრულების 1.1 და 3.2 პუნქტებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის.

სასამართლო კოლეგიამ მიიჩნია, რომ კონტრაქტზე მითითებული იურიდიული პირების წარმომადგენელთა ხელმოწერებისა და ბეჭდების სიყალბე ვერ მოახდენს გავლენას მოპასუხის მიერ ნაკისრი ვალდებულების ნამდვილობაზე, ის შეიძლება გახდეს თავდები

პირების მიერ ნაკისრი ვალდებულებების ბათილობის საფუძველი. მხარეთა შორის გარიგება თავდები პირების გარეშეც დაიდებოდა. თავდების არსებობა კონტრაქტის პირობების მიხედვით შედის მოსარჩელის ინტერესებში, რომელიც გარიგების ძირითად ნაწილს საცილოდ არ ხდის. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 62-ე მუხლის თანახმად, გარიგების ნაწილის ბათილობა არ იწვევს მისი სხვა ნაწილების ბათილობას, თუ საგარაუდოა რომ გარიგება დაიდებოდა მისი ბათილი ნაწილის გარეშეც. დავის საგანს კი მოცემულ შემთხვევაში წარმოადგენს არა თავდები პირებისაგან ვალდებულების შესრულება, არამედ შპს „ა.-გან“ ნაკისრი ვალდებულების შესრულება.

სასამართლომ ჩათვალა, რომ დავის საგანთან არავითარ კავშირში არ არის რ. მ.-ის წერილი და ყოველგვარ საფუძველს მოკლებულად მიიჩნია მისი ნამდვილობის შემოწმება სსკ-ის 137-ე მუხლით გათვალისწინებული პროცედურებით.

სასამართლო კოლეგიამ მიიჩნია, რომ 2001 წლის 26 იანვრის №...-01 კონტრაქტი წარმოადგენს ვალის არსებობის აღიარების ხელშეკრულებას, რომელიც არის ცალმხრივი ხელშეკრულება და ამ ხელშეკრულებით შპს „ა.-ს“, რომელმაც აღიარა ვალის არსებობა, წარმოეშვა შესრულების ვალდებულება მოსარჩელის წინაშე, ხოლო შპს „ს.-ლ. ს.-ს“, რომლის სასარგებლოდაც განხორციელდა ვალის არსებობის აღიარება, უფლება აქვს მოითხოვოს შესრულება.

სასამართლო კოლეგიამ მიიჩნია, რომ შპს „დ. ... ა.-ის“ მიერ ვალდებულება არ შესრულდა სკ-ის 361-ე მუხლის მეორე პუნქტით დადგენილი წესის თანახმად, რის გამოც მოსარჩელე მხარეს მიაღება ზიანი, ხოლო სკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, მას გაუჩნდა მიუღებელი შემოსავლის მოთხოვნის უფლება და მისი მოთხოვნა ამ ნაწილშიც უნდა დაკმაყოფილდეს.

სასამართლო კოლეგიამ დადგენილად ცნო, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდება მხარეთა შორის საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 447-451-ე და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 930-940-ე მუხლების საფუძველზე წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობის (ერთობლივი საქმიანობის) არსებობის ფაქტი, თუმცა სასამართლო კოლეგიამ მიიჩნია, რომ მხარეთა შორის არსებული სხვა სახის სამართლებრივი ურთიერთობები გავლენას ვერ მოახდენენ ვალის არსებობის ხელშეკრულებაზე, რომელიც თავისი ბუნებით აბსტრაქტული ხელშეკრულებაა და არ არის დამოკიდებული ძირითად ვალდებულებით ურთიერთობებზე.

მითითებული საფუძველებით თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის 2003 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილებით შპს „ს.-ლ. ს.-ის“ სარჩელი, მოპასუხე შპს „დ. ... ა.-ს“ მიმართ ფულადი ვალდებულების შესრულების შესახებ, დაკმაყოფილდა:

დაეკისრა მოპასუხე შპს „დ. ... ა.-ს“ 4 531 978 (ოთხი მილიონ ხუთას ოცდათერთმეტი ათას ცხრაას სამოცდათვრამეტი) აშშ დოლარის გადახდა მოსარჩელე შპს „ს.-ლ. ს.-ის“ სასარგებლოდ; მასვე დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის 5.000 ლარის გადახდა მოსარჩელე შპს „ს.-ლ. ს.-ის“ სასარგებლოდ მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ასანაზღაურებლად.

კოლეგიის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს „დ. ... ა.-მა“, რომელიც მოითხოვს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებას, ასევე იმავე კოლეგიის 2002 წლის 1 ოქტომბრის, 2002 წლის 22 ნოემბრის, 2003 წლის 23 იანვრის, 7 და 14 აპრილის

განჩინებების გაუქმებას და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას, მის მიერ გაწეული სასამართლო ხარჯების, 15000 ლარის ანაზღაურებას.

კასატორი მიუთითებს, რომ საქმეში არსებული კონტრაქტის პირველი ასლი დამოწმებულია არა ნოტარიუსის მიერ, არამედ მისი თანაშემწის მიერ, რომლის ლეგალიზაცია არ განხორციელებულა, რადგან უცხო ქვეყნებთან დაკავშირებული დოკუმენტების დამოწმება უნდა განხორციელდეს თავად ნოტარიუსის მიერ. სასამართლომ ყურადღების მიღმა დატოვა ის გარემოება, რომ ლეგალიზაცია განხორციელდა ასლიდან გადაღებული ასლის, ისიც მოქმედი კანონმდებლობის დარღვევით.

სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს სასამართლოს არ გააჩნია სლოვაკეთის რესპუბლიკაში განხორციელებული სანოტარო მოქმედების კანონიერების შემოწმების კომპეტენცია. კასატორი მიუთითებს, რომ მიუხედავად ამისა, სასამართლომ სლოვაკეთის იუსტიციის მინისტრისა და სანოტარო პალატის პასუხზე დაყრდნობით სანოტარო მოქმედება კანონიერად მიიჩნია.

სასამართლო კოლეგიამ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტის დირექტორის, ზ. გ.-ას წერილის საფუძველზე მიიჩნია, რომ დუბლიკატიდან (და არა ორიგინალიდან) გადაღებული დოკუმენტი ლეგალიზებულია კანონის მოთხოვნათა დაცვით. ამასთან, სასამართლომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში არ მიუთითა, თუ რატომ იქნა უარყოფილი მოპასუხის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები. კერძოდ, იგივე თანამდებობის პირის (ზ. გ.-ას) საწინააღმდეგო შინაარსის წერილი, ასევე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გაცემული წერილი იმის თაობაზე, რომ ლეგალიზაციის უფლება არ გააჩნდა მის განმხორციელებელ პიროვნებას, „ავსტრიის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს საკონსულო სამსახურის მოქმედება სლოვაკეთის რესპუბლიკაზე ჯერჯერობით არ ვრცელდება“. აღნიშნული დოკუმენტის ლეგალიზაციისას არ იყო შესრულებული ვენის კონვენციით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურები.

კასატორის მოსაზრებით, საპროცესო ნორმების დარღვევითაა დადგენილი ის ფაქტობრივი გარემოებაც, რომ სადავო კონტრაქტზე ვ. ა.-ის სახელით განხორციელებული ხელმოწერები შესრულებულია თავად ვ. ა.-ის მიერ. სასამართლომ აღნიშნული დასკვნა გააკეთა მოსარჩელე მხარის მიერ წარმოდგენილი ბრატისლავის პოლიციის კრიმინალისტიკისა და ექსპერტიზის ინსტიტუტში ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზის სპეციალურ გამოკვლევათა ცენტრში ჩატარებული ხელმოწერისა და საბუთების ტექნიკურ-კრიმინალისტიკური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე. კასატორს მიაჩნია, რომ ბრატისლავის ინსტიტუტში ჩატარებული ექსპერტიზა კანონის დარღვევით (კერძოდ სსკ-ის 163-ე, 168-ე, 172-ე მუხლების დარღვევით) მოპოვებული მტკიცებულებაა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, მას იურიდიული ძალა არ გააჩნია. რაც შეეხება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საექსპერტო დაწესებულების დასკვნას, იგი სავარაუდო ხასიათს ატარებს და სასამართლომ საპროცესო ნორმების დარღვევით მიიჩნია უტყუარ მტკიცებულებად.

კასატორის მოსაზრებით, სასამართლოს მიერ იგნორირებულია ის გარემოება, რომ ნოტარიუსმა შეასრულა ერთ-ერთი სახის სანოტარო მოქმედება, დოკუმენტის ასლის სინამდვილის დადასტურება. ნოტარიუსმა დაადასტურა ის, რომ ასლი, მასთან წარდგენილი დოკუმენტის შესაბამისია. ნოტარიუსის მიერ განხორციელებული მოქმედება არ გულისხმობს

იმის შემოწმებას, რომ მასთან წარდგენილი დოკუმენტი არის თუ არა კომბინირების გზით შედგენილი. პირობა, რომელიც საფუძვლად დაედო ექსპერტიზის დასკვნას, რომ დოკუმენტი, რომლის ასლიც წარმოდგენილ საქმეში არ იყო კომბინირების გზით შედგენილი, დადგენილი არ არის.

კასატორის მოსაზრებით, ძირითადი ვალდებულების დასადასტურებლად მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები, მათ შორის სხვა იურიდიულ პირებთან დადებული კონტრაქტები, სასამართლომ გამოიკვლია, მაგრამ რადგან არ დადასტურდა ძირითადი ვალდებულება, აღნიშნული არ ასახა გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში და დაუსაბუთებლად შემოიფარგლა ვალის აღიარების ფაქტით და არაფერი მიუთითა მოსარჩელის მოთხოვნის არსებით მხარეზე.

კასატორის აზრით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 135-ე მუხლის თანახმად, მოსარჩელე ვალდებული იყო სასამართლო პროცესზე წარმოედგინა ხელშეკრულების დედანი, წინააღმდეგ შემთხვევაში დოკუმენტს მტკიცებულებითი მნიშვნელობა არ უნდა მინიჭებოდა. სასამართლო კოლეგიამ 2003 წლის 23 იანვრის განჩინებით მოსარჩელე დედნის წარმოდგენისაგან გაათავისუფლა ისე, რომ არ ყოფილა მოსარჩელის შუამდგომლობა. კასატორი თვლის, რომ საპროცესო ნორმების დარღვევითაა გამოტანილი ასევე, 2002 წლის 1 ოქტომბრის, 22 ნოემბრის, 2003 წლის 7 და 14 აპრილის განჩინებები.

ამდენად, კასატორს მიაჩნია, რომ საქმის განმხილველი სასამართლოს მიერ დარღვეულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე, 249-ე და 393-ე მუხლების მოთხოვნები.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, საკასაციო საჩივრის საფუძვლები, მოისმინა მხარეთა განმარტებები და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ საქმის გარემოებები საოლქო სასამართლოს პალატის მიერ საპროცესო ნორმების დარღვევის გარეშეა დადგენილი და საჭირო არ არის მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა.

დიდი პალატა ეთანხმება კასატორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სასამართლო კოლეგიამ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს არ მისცა სწორი სამართლებრივი შეფასება, კერძოდ, არასწორად განმარტა კანონი; გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და მოცემულ საქმეზე მიიღო დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება, რის გამოც დიდი პალატა თვლის, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და ვინაიდან საქმის ფაქტობრივი გარემოებები საპროცესო ნორმების დარღვევის გარეშეა დადგენილი, მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 135-ე მუხლის თანახმად, წერილობითი მტკიცებულება, როგორც წესი, წარდგენილ უნდა იქნეს დედნის სახით. საბუთის ასლისათვის მტკიცებულებითი მნიშვნელობის მინიჭება დამოკიდებულია სასამართლოს შეხედულებაზე.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის თანახმად, სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა.

სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს სასამართლო სხდომაზე მათს ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. მოსაზრებები, რომლებიც საფუძვლად უდევს სასამართლოს შინაგან რწმენას უნდა აისახოს გადაწყვეტილებაში.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლის მეოთხე ნაწილის შესაბამისად, გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში უნდა აღინიშნოს სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებანი, მტკიცებულებანი, რომლებსაც ემყარება სასამართლოს დასკვნები, მოსაზრებანი, რომლებითაც სასამართლო უარყოფს ამა თუ იმ მტკიცებულებას, და კანონები, რომლებითაც სასამართლო ხელმძღვანელობდა.

აღნიშნულ ნორმათა შესაბამისად, სასამართლოს შეხედულება, რომლის საფუძველზეც საბუთის ასლს ენიჭება მტკიცებულებითი მნიშვნელობა, უნდა იყოს დასაბუთებული, ხოლო მოსაზრებები, რომელიც საფუძვლად უდევს სასამართლოს შეხედულებას, უნდა იყოს ასახული გადაწყვეტილებაში.

სასამართლო კოლეგიამ ჩათვალა, რომ კონტრაქტის ასლს უნდა მიენიჭოს დედნის ძალა. აღნიშნული დასკვნის საფუძვლად სასამართლომ მიუთითა, რომ სადავო კონტრაქტის ასლი დამოწმებულია ბრატისლავაში უფლებამოსილი პირის მიერ, რაც შესაბამისად იქნა ლეგალიზებული ქ. ვენაში საქართველოს საელჩოს საკონსულო სამსახურში. დოკუმენტის დედნის ასლის დამოწმება სათანადო უფლებამოსილების მქონე პირის მიერ, ასლს ანიჭებს ოფიციალურ ძალმოსილებას – დოკუმენტის დედნის ძალას ანუ საჯარო ძალას, ხოლო საჯარო აქტს აქვს კანონიერებისა და უტყუარობის პრეზუმფცია მანამ, სანამ არ დამტკიცდება საწინააღმდეგო.

სასამართლომ ასლს მიანიჭა დედნის ძალა, ხოლო დედნის ნამდვილობის დასადასტურებლად მიუთითა, რომ თუ ვინმემ მონტაჟი მოახდინა, მაშინ ნოტარიუსი დედანს ვერ ნახავდა და შესაბამისად, არც დაამოწმებდა. სასამართლოს აღნიშნული დასკვნა საფუძვლად დაედო სარჩელის დაკმაყოფილებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა თვლის, რომ აღნიშნული არგუმენტები არ შეიძლება გახდეს სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზისა და სპეციალურ გამოკვლევათა ცენტრის ექსპერტების 2002 წლის 25 თებერვლის დასკვნაში მითითებულია, რომ ყველა ხელმოწერა ვ. ა.-ის გვართ 2001 წლის 26 იანვრის ხელშეკრულებაზე შესრულებულია ვ. ა.-ის მიერ, იმის გათვალისწინებით, რომ გამოსაკვლევი კონტრაქტის ასლი გადაღებულია კონტრაქტის ორიგინალიდან.

ექსპერტებმა დასკვნას საფუძვლად დაუდეს ის პირობა, რომ ხელმოწერა ნამდვილად უნდა ჩაითვალოს იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების ასლი, რომელიც მათ გამოიკვლიეს, გადაღებულია ნამდვილად არსებული ხელშეკრულების დედნიდან.

საქმეში არსებულ ექსპერტიზის დასკვნებით და სასამართლო სხდომაზე დაკითხულ ექსპერტთა განმარტებებით დადგენილია, რომ არსებობს იმის ტექნიკური შესაძლებლობა, რომ ამა თუ იმ დოკუმენტზე არსებული ხელმოწერები და ბეჭდის ანაბეჭდები გადატანილ იქნეს სხვა შინაარსის დოკუმენტზე ისე, რომ მისი მსგავსება ორიგინალთან იდენტური იყოს, ე.ი. სანამ დედნიდან მოხდება ასლის გადაღება, შესაძლებელია დედანი კომბინირებული გზით იყოს შედგენილი და გაყალბებული.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სანოტარო წესით დამოწმებული ასლი თავისთავად არ ნიშნავს, რომ ასლი გადაღებულია ნამდვილი დოკუმენტიდან. ნოტარიუსი მხოლოდ ახდენს იმის შემოწმებას, რომ ასლი მასთან წარდგენილი საბუთის შესაბამისია, იგი არ ადასტურებს მასთან წარდგენილი დოკუმენტის შინაარსის ნამდვილობას და ამ დოკუმენტის ნამდვილობას არ იკვლევს.

ამდენად, სასამართლო კოლეგიის მიერ გაზიარებული მოსაზრება იმის შესახებ, რომ კონტრაქტის ასლი გადაღებულია კონტრაქტის ორიგინალიდან, რასაც ადასტურებს ნოტარიუსი, არ წარმოადგენს იმის დადასტურებას, რომ დოკუმენტი, რომლის ასლიც წარმოდგენილია საქმეში, არ იყო კომბინირების გზით შედგენილი და გაყალბებული. ამასთან, თუ ნოტარიულად დამოწმებული დოკუმენტის ქსეროასლს მივიჩნევთ უდავო მტკიცებულებად, მაშინ ასეთივე უდავო მტკიცებულებად უნდა იყოს მიჩნეული შპს „ს.-ლ. ს.-ის“ დირექტორის, რ. მ.-ის წერილის ასლი ა.-ის მიმართ, რომელშიც რ. მ.-ე აღიარებს, რომ წარმოდგენილი კონტრაქტი არის ყალბი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 137-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მხარეს უფლება აქვს განაცხადოს, რომ წარდგენილი საბუთი ყალბია.

ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, მხარე, რომლის მიერაც წარდგენილი იყო ასეთი საბუთი, ვალდებულია დაამტკიცოს ამ საბუთის ნამდვილობა. სასამართლო შეამოწმებს საბუთის ნამდვილობას, რისთვისაც დანიშნავს ექსპერტიზას ან გამოითხოვს სხვა მტკიცებულებას.

ვინაიდან მოპასუხე აცხადებდა, რომ 2001 წლის 26 იანვრის კონტრაქტი, რომლის ასლიც საქმეშია წარმოდგენილი, ყალბია. მოსარჩელეს უნდა დაემტკიცებინა, რომ კონტრაქტი არის ნამდვილი, ის არ ყოფილა გაყალბებული და კომბინირების გზით შედგენილი. ასეთი მტკიცებულება საქმის მასალებში არ არსებობს, შესაბამისად, სასამართლო კოლეგიის მიერ არ არის დადგენილი, რომ საბუთი, რომლის ასლიც წარმოდგენილია საქმეში, არ იყო კომბინირებული გზით შედგენილი. ასეთ შემთხვევაში დიდი პალატა თვლის, რომ საბუთის ასლი, როგორც მტკიცებულება, განხილული უნდა იქნეს საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში.

სადავო 2001 წლის 26 იანვრის კონტრაქტი ხელმოწერილია „მ. ი. კ.-ის“, „ს.-ის“ „ვ. ვ. კ.-ის“ და „ს. ს.-ის“ სახელით ვ. პ.-ის, ი. ს.-სა და ს. კ.-ის მიერ და დამოწმებულია აღნიშნული საზოგადოებების ბეჭდებით. კონტრაქტზე ზემოაღნიშნული ხელმოწერილი პირები კატეგორიულად უარყოფენ ხელის მოწერასა და ბეჭდის დასმას. კასატორი მიუთითებს, რომ „ს. ს.-ის“ ბეჭედი საზოგადოების ლიკვიდაციასთან დაკავშირებით 1997 წლის 16 მაისს ჩაბარებული და განადგურებულია და მისი არსებობა 2001 წლის 26 იანვრის კონტრაქტზე უდავოდ ადასტურებს კონტრაქტის სიყალბეს.

სასამართლო კოლეგიამ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 62-ე მუხლი და მიიჩნია, რომ კონტრაქტზე მითითებული იურიდიული პირების წარმომადგენელთა ხელმოწერისა და ბეჭდების სიყალბე გავლენას ვერ მოახდენს მოპასუხის მიერ ნაკისრი ვალდებულების ნამდვილობაზე, რადგან გარიგების ნაწილის ბათილობა არ იწვევს მისი სხვა ნაწილის ბათილობას, თუ სავარაუდოა, რომ გარიგება დაიდებოდა მისი ბათილი ნაწილების გარეშე.

უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა თვლის, რომ სასამართლო კოლეგიას არ უნდა გამოეყენებინა სამოქალაქო კოდექსის 62-ე მუხლი, რადგან მოცემულ საქმეზე მოპასუხეს არ მოუთხოვია გარიგების ბათილად ცნობა, ე.ი. იგი საცილოს კი არ ხდის გარიგებას, არამედ

აცხადებს, რომ კონტრაქტი, რომლის ასლიც წარმოდგენილია, საერთოდ არასდროს დადებულია.

მოსარჩელე მიუთითებდა, რომ ის და მოპასუხე აწარმოებდნენ ერთობლივ საქმიანობას. სასამართლოში წარდგენილი კონტრაქტის ასლის 1.1. პუნქტის თანახმად, „ფირმამ (შპს „ს.-ლ. ს.-ი“) ქართული ღვინოების ბიზნესის სუფთა მოგებიდან უნდა მიიღოს დივიდენდი 3.923.791 აშშ დოლარი, რომელიც ამ კონტრაქტის თანახმად უნდა გადაუხადოს საზოგადოებამ (შპს „ა.-ი“)“, ხოლო კონტრაქტის 3.2. პუნქტის შესაბამისად, ერთობლივი მუშაობის პერიოდში 1996 წლიდან 01.01.2001 წლამდე ჩამოსხმული და გაყიდული იყო 13.529.501 ბოთლი ღვინო, სუფთა მოგებით 13 396 133 აშშ დოლარი, გამომდინარე აქედან, დივიდენდები, რომლებიც საზოგადოებამ უნდა გადაუხადოს ფირმას 1996 წლიდან 2001 წლამდე მთლიანად შეადგენს 3 923 791 აშშ დოლარს“.

სასამართლო კოლეგიის მიერ დადგენილია, რომ მხარეთა შორის ერთობლივი საქმიანობის წარმოებას ადგილი არა ჰქონია. საქმის მასალებში არ მოიპოვება არცერთი მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა მოდავე ორ იურიდიულ პირს შორის ერთობლივი საქმიანობის წარმოებას. ამასთან, საყურადღებოა ის გარემოება, რომ შპს „დ. ... ა.“ წარმოადგენს შპს „ა.-ს“ სამართალმემკვიდრეს, ხოლო ეს უკანასკნელი თბილისის ისანი-სამგორის რაიონულ სასამართლოში რეგისტრირებულია 1999 წლიდან, სადავო კონტრაქტის თანახმად კი მხარეთა შორის ერთობლივი საქმიანობა წარმოებდა 1996 წლიდან და მოპასუხემ მოსარჩელეს უნდა გადაუხადოს დივიდენდები 1996 წლიდან 2001 წლამდე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი ასლის საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში განხილვით არ დასტურდება ხელშეკრულების ქსეროასლში მითითებული გარემოებები. დიდი პალატა თვლის, რომ მოსარჩელის მიერ წარდგენილი საბუთის ასლი, მართალია, მტკიცებულების სახითაა წარმოდგენილი მხარის მიერ, მაგრამ არ არის დასაბუთებული, თუ რატომ ჩათვალა იგი სასამართლომ, როგორც უტყუარი და სარწმუნო. გარდა ამისა, საქმეში არ მოიპოვება სხვა ისეთი მტკიცებულებები, რომლებიც მის უტყუარობაზე მიუთითებენ და საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებას დაადასტურებდნენ. შესაბამისად, მოსარჩელის მოთხოვნა, რომელიც ემყარება მითითებულ საბუთის ასლს, არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას.

მოცემული საქმე რამდენჯერმე იქნა განხილული სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოებში. მოპასუხეს საკასაციო საჩივრებზე და კერძო საჩივარზე გადახდილი აქვს სახელმწიფო ბაჟი 15 000 ლარის ოდენობით. ვინაიდან გადაწყვეტილება მოპასუხე მხარის სასარგებლოდ იქნა გამოტანილი, აღნიშნული თანხის გადახდა უნდა დაეკისროს მოსარჩელე მხარეს.

კასატორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მოცემულ საქმეზე საოლქო სასამართლოს კოლეგიის მიერ გამოტანილი განჩინებები საპროცესო ნორმების დარღვევითაა გამოტანილი, დიდი პალატა არ იზიარებს.

2002 წლის 1 ოქტომბერს მოპასუხემ განაცხადა შუამდგომლობა მოსამართლე მადი ჩანტლაძის აცილების შესახებ იმ საფუძველზე, რომ მ. ჩანტლაძე განმეორებით

მონაწილეობდა მოცემული საქმის განხილვაში და მისი თავმჯდომარეობით ამავე საქმეზე პირველი ინსტანციით საქმის განხილვისას სასამართლო კოლეგიამ მატერიალური და საპროცესო ნორმების დარღვევით გამოიტანა გადაწყვეტილება, რაც ეჭვს იწვევს მის მიუკერძოებლობაში. ხოლო 2003 წლის 7 აპრილს განაცხადა შუამდგომლობა სასამართლო შემაღენლობის აცილების შესახებ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტის თანახმად, მოსამართლემ არ შეიძლება განიხილოს საქმე ან მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში, თუ ის პირადად, პირდაპირ ან არაპირდაპირ დაინტერესებულია საქმის შედეგით, ან თუ არის ისეთი გარემოება, რომელიც ეჭვს იწვევს მის მიუკერძოებლობაში.

დიდი პალატა თვლის, რომ ვინაიდან მოპასუხის მიერ ვერ იქნა მითითებული ისეთი გარემოება, რომელიც ეჭვს იწვევდა მოსამართლეთა მიუკერძოებლობაში, სასამართლო კოლეგიამ 2002 წლის 1 ოქტომბრისა და 2003 წლის 7 აპრილის განჩინებებით მართებულად უთხრა უარი მოპასუხეს შუამდგომლობების დაკმაყოფილებაზე, შესაბამისად არ არსებობს აღნიშნული განჩინებების გაუქმების საფუძველი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლი ერთსა და იმავე ინსტანციის სასამართლოში არ კრძალავს მოსამართლის მონაწილეობას საქმის განხილვაში. ამდენად, აცილების საფუძველი არ არსებობდა.

2003 წლის 23 იანვრისა და 7 აპრილის განჩინებებით მოპასუხეს უარი ეთქვა შუამდგომლობაზე სადავო კონტრაქტის ასლების მტკიცებულებიდან გამორიცხვის შესახებ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 137-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, მხარე, რომლის მიერაც იყო წარდგენილი ასეთი საბუთი, ან რომლის შუამდგომლობითაც სასამართლომ იგი გამოითხოვა, ვალდებულია დაამტკიცოს ამ საბუთის ნამდვილობა, მას შეუძლია აგრეთვე, სთხოვოს სასამართლოს მტკიცებულებიდან სადავო საბუთის გამორიცხვა და საქმის გადაწყვეტა საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებათა საფუძველზე. სასამართლო გამორიცხავს ამ საბუთს მტკიცებულებიდან იმ პირობით, თუ მეორე მხარე არ არის ამის წინააღმდეგი. თუკი მეორე მხარე წინააღმდეგია, სასამართლო შეამოწმებს საბუთის ნამდვილობას, რისთვისაც დანიშნავს ექსპერტიზას ან გამოითხოვს სხვა მტკიცებულებებს.

მოცემულ შემთხვევაში სადავო ასლები წარმოდგენილი იყო მოსარჩელის მიერ, მას არ მოუთხოვია საბუთის გამორიცხვა მტკიცებულებიდან. სასამართლომ საბუთის ნამდვილობის შემოწმების მიზნით, არ დააკმაყოფილა მოპასუხის შუამდგომლობები და წარდგენილ საბუთს შეფასება მისცა საბოლოო გადაწყვეტილებაში. დიდი პალატა თვლის, რომ საოლქო სასამართლოს კოლეგიის აღნიშნულ განჩინებებს საფუძვლად არ უდევს საპროცესო ნორმათა დარღვევა და შესაბამისად, მათი გაუქმების საფუძველი არ არსებობს.

კასატორი ასაჩივრებს ასევე სასამართლო კოლეგიის 2002 წლის 22 ნოემბრის განჩინებას, რომლითაც ნაწილობრივ დაკმაყოფილდა მოსარჩელის შუამდგომლობა წერილობითი მტკიცებულების გამოთხოვის თაობაზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 134-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ მხარემ ვერ შეძლო წერილობით მტკიცებულებათა მიღება იმ პირისაგან, ვისთანაც ეს მტკიცებულებები იმყოფება, მას შეუძლია იშუამდგომლოს სასამართლოს წინაშე, რათა სასამართლომ გამოითხოვოს ისინი. ამავე მუხლის შესაბამისად, წერილობითი მტკიცებულების გამოთხოვის თაობაზე შუამდგომლობის აღმძვრელი პირი ვალდებულია მიუთითოს, თუ საქმის რა მნიშვნელოვანი გარემოების დადგენა შეიძლება ამ მტკიცებულებით.

მოცემულ საქმეზე სადავო იყო მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი კონტრაქტის ნამდვილობა, რის გამოც მოსარჩელემ მხარეთა შორის ერთობლივი საქმიანობის არსებობის ფაქტის დადასტურების მიზნით, იშუამდგომლა წერილობითი მტკიცებულებების გამოთხოვის თაობაზე, რაც სასამართლო კოლეგიამ დააკმაყოფილა. სასამართლოს აღნიშნული განჩინება დასაბუთებულია და მისი გაუქმების საფუძველი არ არსებობს. არ არსებობს, ასევე, 2003 წლის 14 აპრილის საოქმო განჩინების გაუქმების საფუძველი, რადგან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 221-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს შეუძლია მოხსნას შეკითხვა, რომელიც არ ემსახურება საქმის გარემოების დადგენას. ამასთან, კასატორი ვერ მიუთითებს 2003 წლის 14 აპრილის განჩინების გაუქმების საფუძველზე.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

გაუქმდეს ამ საქმეზე თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის 2003 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება:

შპს „ს.-ლ. ს.-სს“ უარი ეთქვას სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

შპს „ს.-ლ. ს.-სს“ შპს „დ. ... ა.-ის“ სასარგებლოდ დაეკისროს შპს „დ. ... ა.-ის“ მიერ გაწეული სასამართლო ხარჯების – 15 000 ლარის ანაზღაურება.

გაუქმდეს სარჩელის უზრუნველსაყოფად გატარებული ღონისძიებები; კერძოდ, გათავისუფლდეს ყადაღისაგან შპს „დ. ... ა.-ის“ უძრავ-მოძრავი ქონება, მათ შორის შენობა-ნაგებობები, მიწა, ტექნოლოგიური ხაზები და სატრანსპორტო საშუალებები, მდებარე ქ. თბილისში, ...-ის ქ. №...-ში.

უცვლელად დარჩეს თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის 2002 წლის 1 ოქტომბრის, 22 ნოემბრის, 2003 წლის 23 იანვრის, 7 და 14 აპრილის განჩინებები.

გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.